ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14

2011 წლის 31 მარტი

ქ. ზესტაფონი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 204-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად:

მუხლი 1

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 1 $მ^2$-ზე ქონების გადასახადის ტერიტორიული კოეფიციენტის ოდენობა განისაზღვროს:

ა) ქ. ზესტაფონის ტერიტორიაზე – 1.5;

ბ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებისა და თემების ტერიტორიაზე – 1,0.

მუხლი 2

დადგინდეს ქონების გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 1 $მ^2$-ზე:

ა) ქ. ზესტაფონის ტერიტორიაზე – 0,36 ლარი;

ბ) ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებისა და თემების ტერიტორიაზე – 0,24 ლარი;

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთების დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 თებერვლის №7 დადგენილება.

მუხლი 4

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2011 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ საგადასახადო ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე მ. მასხარაშვილი